ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების სისტემის ანალიზი (2017-2018 წლები)

2018 წელი

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 3

შესავალი 4

პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაციების თანამდებობის პირები 5

სამინისტროები 8

სსიპ-ები და სხვა დამოუკიდებელი უწყებები 13

დასკვნა 16

ძირითადი მიგნებები

- საჯარო დაწესებულებების 2018 წლის საშტატო ნუსხების ანალიზი ცხადყოფს, რომ შრომის ანაზღაურების შესახებ ახალმა კანონმა ვერ დანერგა თანამდებობათა იერარქიის შესატყვისი ყოველთვიური სარგოების განსაზღვრის პრაქტიკა;

- სამინისტროების და მათი დაქვემდებარებული უწყებების შემთხვევაში, ახალი კანონის პირობებშიც ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული თანამდებობის პირის ყოველთვიური სარგო აღემატება ზემდგომი თანამდებობის პირის ყოველთვიურ სარგოს;

- თანამდებობის პირთა უმრავლესობას, შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ყოველთვიურ სარგოდ განესაზღვრათ დაახლოებით იგივე ოდენობის თანხა, რასაც ისინი კანონის მიღებამდე იღებდნენ ჯამურად სარგოს, პრემიისა და დანამატის სახით;

- სამინისტროებს დაქვემდებარებული თუ სხვა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უწყების საქმიანობით მიღებული საკუთარი შემოსავლები;

- შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ უწყებებზე, (სახელმწიფო კომპანიები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა) რომელთა ხელმძღვანელი პირები საჯარო სექტორში ყველაზე მაღალ შრომის ანაზღაურებას იღებენ;

- ცალკეული საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროება.

შესავალი

წლების განმავლობაში, საქართველოს საჯარო დაწესებულებების შრომის ანაზღაურების მოუწესრიგებელმა სისტემამ განაპირობა არასამართლიანი და გაუმჭვირვალე სახელფასო პოლიტიკა, რასაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემაზე არსებული არასრულფასოვანი საკანონმდებლო რეგულაციები.

საჯარო დაწესებულებებში არსებული შრომის ანაზღაურების სისტემა უსამართლობისა და მიკერძოებულობის განცდას იწვევდა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- პრემიებისა და სახელფასო დანამატების უკონტროლო გაცემის ხარჯზე სხვადასხვა დაწესებულებაში იდენტური თანამდებობისათვის მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობის შრომის ანაზღაურების არსებობა;
- უკონტროლო პრემიებისა და სახელფასო დანამატების ხარჯზე კონკრეტულ პოზიციებზე გაცემული ყოველთვიური შრომის ანაზღაურების შეუსაბამობა მისი ზემდგომი თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურებასთან;
- საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებთან შეუსაბამოდ მაღალი და დაუსაბუთებელი პრემიების და სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკა.

არსებული შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგება საჭიროებდა საჯარო მოხელეთა ანაზღაურების ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და კანონმდებლობით აღნიშნული საკითხის დეტალურ რეგულირებას. 2017 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომლითაც განისაზღვრა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების საკითხი. ახალი კანონის მიხედვით, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემა. კერძოდ, წლის განმავლობაში გაცემული სახელფასო დანამატის მაქსიმალური ოდენობა, წლიური სარგოს 20%-ით, ხოლო ფულადი ჯილდო - წლიური სარგოს 10%-ის ოდენობით შემოიფარგლა. ამასთან, სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებზე როგორც სახელფასო დანამატების, ასევე პრემიების (ფულადი ჯილდო) გაცემა აიკრძალა. ახალი კანონის პირობებში, პრემიებსა და სახელფასო დანამატებზე დაწესებული შეზღუდვების ფონზე, შრომის ანაზღაურების სამართლიანი სისტემის ფორმირების პროცესში, გამოწვევად იქცა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის კოეფიციენტების ახალი სისტემა. ამასთან, ამ კანონის მოქმედება არ გავრცელდა მთელ რიგ უწყებებზე და თანამდებობებზე.

წინამდებარე კვლევის მიზანია, საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის მიღების შედეგად, თანამდებობის პირების სახელფასო პოლიტიკაში არსებული ტენდენციების ანალიზი. ამ მიზნით, IDFI-მ შეისწავლა 100-მდე საჯარო დაწესებულებიდან (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პარლამენტის აპარატი, სამინისტროები, სამინისტროებს დაქვემდებარებული და სხვა დამოუკიდებელი სსიპ-ები) მიღებული საჯარო ინფორმაცია ახალი კანონის ძალაში შესვლამდე და ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედი საშტატო ნუსხების და თანამდებობის პირებზე საანგარიშო პერიოდში გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ. სამწუხაროდ, კვლევას ართულებდა ცალკეული უწყებების მიერ IDFI-ის მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება ან არასრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება. ამასთან, კვლევის პერიოდში

მნიშვნელოვნად გართულებული იყო საშტატო ნუსხების და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ სამართლებრივი აქტების სსიპ „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა. მიუხედავად შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული გარკვეული პრობლემებისა, ჩვენს მიერ მოპოვებული და დამუშავებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის გავლენა თანამდებობის პირების ხელფასების ოდენობაზე.

პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაციების თანამდებობის პირები

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების“ შესახებ კანონის მიხედვით, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი - 10.0 გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერმინისტრისთვის. შესაბამისად, 2018 წელს განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს (1000 ლარი) გათვალისწინებით ახალი კანონი მათი ყოველთვიური ანაზღაურების **10 000** ლარამდე გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული 2018 წლის საშტატო ნუსხის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო, წინა წლის მსგავსად, 6 900 ლარის ოდენობით არის განსაზღვრული. საქართველოს პრეზიდენტზე განვლილ წლებში პრემიისა თუ სახელფასო დანამატის გაცემის შემთხვევა არ ფიქსირდება, ხოლო ახალი კანონის პირობებში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემა აიკრძალა, შესაბამისად, პრეზიდენტის ანაზღაურება ახალი კანონის პირობებში უცვლელი დარჩა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა თანამდებობის პირებისათვის შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის მიღებამდე ყოველთვიურად განსაზღვრული იყო სახელფასო დანამატები და გარკვეული პერიოდულობით გაიცემოდა პრემიები. შესაბამისად, ახალი კანონის მიხედვით, პრემიებზე და დანამატებზე დაწესებული შეზღუდვების პირობებში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამდებობის პირებზე 2017 წლის მდგომაროებით არსებული შრომის ანაზღაურების ოდენობის შენარჩუნება შესაძლებელი იყო ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოების ზრდის ხარჯზე. 2018 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამდებობის პირების ყოველთვიური სარგოს ოდენობა განისაზღვრა წინა წელს მოქმედი ყოველთვიური სარგოსა და შესაბამის თანამდებობაზე დაწესებული ყოველთვიური სახელფასო დანამატის ჯამის ოდენობით. მაგალითად, 2017 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ყოველთვიური სარგო შეადგენდა 3 540 ლარს, ხოლო ყოველთვიური სახელფასო დანამატი - 2710 ლარს. 2018 წლიდან მისი ყოველთვიური სარგო შეადგენს 6250 ლარს.



პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურება					
თანამდებობა	2018	2017			
	ყოველთვიური სარგო	სულ ყოველთვიური შრომის ანაზღაურება	ყოველთვიური სარგო	ყოველთვიური დანამატი	ყოველთვიური პრემია
საქართველოს პრეზიდენტი	**6 900**	**6 900**	6 900	0	0
ადმინისტრაციის უფროსი	**6 250**	**6 250**	3 540	2 710	0
ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე	**5 770**	**6 753**	2 950	2 820	983
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	**5 440**	**6 349**	2 720	2 720	906
პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი	**5 410**	**6 004**	2 720	2 690	594
დეპარტამენტის ხელმძღვანელი	**4 400**	**5 142**	2 300	2 075	767

2018 წლამდე საქართველოს პარლამენტის წევრის ყოველთვიური სარგო განსაზღვრული იყო 2000 ლარის ოდენობით. თუმცა, მათი თანამდებობის მიხედვით, განსაზღვრული იყო სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხა და სხვა დანამატი. შედეგად, პარლამენტის წევრების შრომის ანაზღაურება სადეპუტატო თანამდებობების მიხედვით დაახლოებით 4 600-დან 6 700 ლარამდე მერყეობდა. ახალი კანონის მიხედვით, პარლამენტის წევრის ყოველთვიური სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტები მათი თანამდებობების მიხედვით 8-დან 10-მდე მერყეობს. შესაბამისად, ახალი კანონი იძლეოდა შესაძლებლობას, 2018 წლიდან პარლამენტის წევრის ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაზრდილიყო, მაგალითად, პარლამენტის ჩვეულებრივი წევრის ანაზღაურება 4 623 ლარიდან 8 000 ლარამდე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის 6 738 ლარიდან 10 000 ლარამდე. საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, 2018 წლიდან პარლამენტის წევრის ყოველთვიური სარგო განისაზღვრა იმავე ოდენობით, რასაც წინა წლის განმავლობაში იღებდნენ სარგოსა და დანამატების სახით ერთად. შესაბამისად, 2018 წლიდან მათი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობა არ შეცვლილა, თუმცა ანაზღაურების ფორმას, წინა წლებისგან განსხვავებით, წარმოადგენს მხოლოდ ყოველთვიურ სარგო.

საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურება					
თანამდებობა	2018	2017			
	ყოველთვიური სარგო	სულ ყოველთვიური შრომის ანაზღაურება	ყოველთვიური სარგო	ყოველთვიური დანამატი	ყოველთვიური პრემია
პარლამენტის თავმჯდომარე	**6 738,75**	**6 738,75**	2 000	4 738,75	0
პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**6 403,75**	**6 403,75**	2 000	4 403,75	0
პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე	**6 338,75**	**6 338,75**	2 000	4 338,75	0
უმრავლესობის ლიდერი	**5 538,75**	**5 538,75**	2 000	3 538,75	0
უმცირესობის ლიდერი	**5 538,75**	**5 538,75**	2 000	3 538,75	0
კომიტეტის თავმჯდომარე	**5 538,75**	**5 538,75**	2 000	3 538,75	0
ფრაქციის თავმჯდომარე	**5 468,75**	**5 468,75**	2 000	3 468,75	0
დროებითი კომისიის თავმჯდომარე	**4 938,75**	**4 938,75**	2 000	2 938,75	0
უმრავლესობის ლიდერის მოადგილე	**4 803,75**	**4 803,75**	2 000	2 803,75	0
უმცირესობის ლიდერის მოადგილე	**4 803,75**	**4 803,75**	2 000	2 803,75	0
კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**4 803,75**	**4 803,75**	2 000	2 803,75	0
ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	**4 738,75**	**4 738,75**	2 000	2 738,75	0
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე	**4 738,75**	**4 738,75**	2 000	2 738,75	0
პარლამენტის წევრი	**4 623,75**	**4 623,75**	2 000	2 623,75	0

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ IDFI-ის არ მიაწოდა 2018 წელს პრემიერ-მინისტრისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის საშტატო ნუსხით განსაზღვრული ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, კვლევაში ვერ იქნება წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის გავლენის ანალიზი მთავრობის ადმინისტრაციის თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების ოდენობაზე.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირების სახელფასო პოლიტიკის ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ, სამინისტროების და სხვადასხვა სსიპ-ების მაგალითზე.

სამინისტროები

განვლილ წლებში, საჯარო დაწესებულებებში არსებული სახელფასო პოლიტიკის ნაკლოვანებების საილუსტრაციოდ, IDFI საკუთარ კვლევებში ყველაზე ხშირად განიხილავდა სამინისტროებში არსებულ პრაქტიკას. კერძოდ, სამინისტროებში წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის არაერთგვაროვანი პრაქტიკა, ფიქსირებული ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს პირობებში, წარმოშობდა მნიშვნელოვან განსხვავებებს და შეუსაბამობებს თანამდებობის პირების ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობაში. სამინისტროებში 2014 წლიდან ყველაზე მეტად დარეგულირებული იყო მინისტრის შრომის ანაზღაურება, რომელიც 3 540 ლარის ოდენობის ყოველთვიური სარგოს და 2 710 ლარის ოდენობის ყოველთვიური სახელფასო დანამატისგან შედგებოდა. სამინისტროების სხვა პოზიციების, მათ შორის მინისტრის მოადგილეების, შემთხვევაში მნიშვნელოვანი შეუსაბამობები ფიქსირდებოდა.

კვლევის ფარგლებში, IDFI-ის მიერ სამინისტროებიდან მოთხოვნილი უახლესი საჯარო ინფორმაცია ასახავს 2018 წლის მაისის მდგომარეობით მოქმედი საშტატო ნუსხების მონაცემებს. შესაბამისად, სამინისტროების მონაცემები არ ითვალისწინებს 2018 წლის ივლისის თვეში ახალი პრემიერის ინიციატივით სამინისტროებში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებს. ამასთან, **კვლევაში ასახული არ არის ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, რომელიც IDFI-ისთვის უწყებას დღემდე არ მოუწოდებია**.

შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის მიხედვით, მინისტრის თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტია 8,5, მისი პირველი მოადგილის - 7,5, ხოლო, მოადგილის - 7,25. 2018 წელს სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხების მიხედვით, ყველა მინისტრის ყოველთვიური სარგო განისაზღვრა 6 250 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მინისტრის ანაზღაურება წინა წლებთან შედარებით კვლავ უცვლელი დარჩა, თუმცა, ახალი კანონის პირობებში პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის აკრძალვის პირობებში, მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს სახით გაიცემა.

მინისტრისგან განსხვავებით, ახალი კანონის პირობებშიც კვლავ განსხვავებული მდგომარეობაა მინისტრის მოადგილეების და სხვა პოზიციებზე დასაქმებულების შემთხვევაში. თანაბარი ზედა ზღვრის კოეფიციენტის პირობებში, სხვადასხვა სამინისტროში მინისტრის მოადგილის ყოველთვიური სარგო 4 650 ლარიდან 7 500 ლარამდე მერყეობს. შედეგად, კვლავ ვხდებით შემთხვევებს, როდესაც მინისტრის მოადგილის ანაზღაურება აღემატება მინისტრის ანაზღაურებას. მსგავსი შემთხვევები ფიქსირდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შინაგან

საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში, რომელთა მინისტრის პირველი მოადგილის ანაზღაურება 6 400-დან 7500-მდე მერყეობს და, შესაბამისად, აღემატება მინისტრისათვის განსაზღვრულ 6 250 ლარის ოდენობის სარგოს.

2018 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხების მიხედვით მინისტრის და მისი მოადგილეებისათვის განსაზღვრული ყოველთვიური სარგოების ოდენობა			
საჯარო დაწესებულება	**მინისტრი**	**მინისტრის I მოადგილე**	**მინისტრის მოადგილე**
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	6 250	7 500	7 250
თავდაცვის სამინისტრო	6 250	7 500	7 250
შინაგან საქმეთა სამინისტრო	6 250	7 500	7 000
იუსტიციის სამინისტრო	6 250	6 950	6 720
საგარეო საქმეთა სამინისტრო	6 250	6 400	5 900
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6 250	6 200	6 000
			5 600
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	6 250	6 100	6 000
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	6 250	5 950	5 650
გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	6 250	5 950	5 650
კულტურისა და სპორტის სამინისტრო	6 250	5 950	5 830
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	6 250	5 900	5 440
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	6 250	4 920	4 540

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	6 250	4 650	-

შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ასახავს 2018 წლის მაისის მდგომარეობით მოქმედი საშტატო ნუსხების მონაცემებს და მასში არ არის ასახული ამავე წლის ივლისის თვეში სამინისტროების განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები.

შრომის ანაზღაურების ახალი კანონის პირობებში, სამინისტროების თანამდებობების იერარქიის მიხედვით განსაზღვრული ყოველთვიური სარგოების არსებული შეუსაბამობა უმეტესწილად განპირობებულია კანონით დადგენილი ზედა ზღვრის კოეფიციენტების ფარგლებში კონკრეტული უწყების თანამდებობების პირებზე განვლილი წლების ანალოგიური შრომის ანაზღაურების ოდენობის შენარჩუნებით. მაგალითად, 2017 წელს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 7 196 ლარს (სარგო 2 950 ლარი, დანამატი 4 000 ლარი, პრემია 246 ლარი), 2018 წლის საშტატო ნუსხით მისი სარგო განსაზღვრულია 6 950 ლარის ოდენობით, რაც წინა წელს ყოველთვიურად სარგოს და სახელფასო დანამატის სახით მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის 2017 წლის საშუალო ყოველთვიური (სარგო, პრემია და დანამატი ერთად) ანაზღაურება შეადგენდა 6 392 ლარს, 2018 წლის საშტატო ნუსხით მისი ყოველთვიური სარგო განსაზღვრულია 6 400 ლარით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2017 წელს, მისი საშუალო შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად შეადგენდა 11 537 ლარს. ახალი კანონის პირობებში, მინისტრის სარგოზე დაწესებული ზედა ზღვრის კოეფიციენტის შესაბამისად, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 7 000 ლარს. პრემიებსა და სახელფასო დანამატების შეზღუდვის ფონზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეების შრომის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა მისი ოდენობა კვლავ აღემატება მათი ზემდგომი თანამდებობის პირის - მინისტრის ანაზღაურებას.


სხვადასხვა მინისტრის პირველი მოადგილის შრომის ანაზღაურება
2017 (საშუალოდ ყოველთვიური შრომის ანაზღაურება)
2018 (ყოველთვიური სარგო)
იუსტიციის სამინისტრო
7196
6950
საგარეო საქმეთა სამინისტრო
6392
6400
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
6638
6100
დევნილთა სამინისტრო
5900
5900
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი
4956
4650


სხვადასხვა მინისტრის მოადგილის შრომის ანაზღაურება
2017 (საშუალოდ ყოველთვიური შრომის ანაზღაურება)
2018 (ყოველთვიური სარგო)
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
6732
7250
შინაგან საქმეთა სამინისტრო
11537
7000
იუსტიციის სამინისტრო
7173
6720
საგარეო საქმეთა სამინისტრო
5893
5900
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
6100
6000
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
5239
5650
დევნილთა სამინისტრო
5440
5440
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
5385
4540

სხვადასხვა მინისტრის მოადგილის შრომის ანაზღაურება								
საჯარო დაწესებულება	მინისტრის I მოადგილე				მინისტრის მოადგილე			
	2018	2017			2018	2017		
	სარგო	სულ შრომის ანაზღაურება	სარგო	პრემია/დანამატი	სარგო	სულ შრომის ანაზღაურება	სარგო	პრემია/დანამატი
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	**7 500**	**-**	-	-	**7 250**	6 732	2 720	4 012
შინაგან საქმეთა სამინისტრო	**7 500**	**-**	--	-	**7 000**	11 537	2 720	8 817
იუსტიციის სამინისტრო	**6 950**	7 196	2 950	4 246	**6 720**	7 173	2 720	4 453
საგარეო საქმეთა სამინისტრო	**6 400**	6 392	2 950	3 442	**5 900**	5 893	2 720	3 173
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**6 200**	-	-	-	**6 000**	6 800	2 720	4 080
					5 600	5 440	2 720	2 720
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	**6 100**	6 637,5	2 950	3 687,5	**6 000**	6 100	2 720	3 380
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	**5 950**	-	-	-	**5 650**	5 239	2 720	2 519
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**5 900**	5 900	2 950	2 950	**5 440**	5 440	2 720	2 720
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**4 920**	-	-	-	**4 540**	5 385	2 720	2 666
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	**4 650**	4 956	2 950	2006	**-**	-	-	-

სსიპ-ები და სხვა დამოუკიდებელი უწყებები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ხელმძღვანელის, რომელზეც ვრცელდება შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის მოქმედება, თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი გათანაბრებულია მინისტრის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტთან. ამასთან, მინისტრისგან განსხვავებით, მათ საშუალება ეძლევათ კანონით დადგენილი ზღვრული ლიმიტის ფარგლებში მიიღონ პრემია და სახელფასო დანამატი.

სამინისტროების მსგავსად, მათი დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების შემთხვევაშიც, 2018 წელს, ყოველთვიური სარგოების ზრდის ხარჯზე, შრომის ანაზღაურების მოცულობაში, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. მაგალითად, 2017 წელს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის ყოველთვიური სარგო შეადგენდა 4 300 ლარს, ხოლო პრემია/დანამატი 4 590 ლარს. (სულ შრომის ანაზღაურება 8 890 ლარი). 2018 წლის საშტატო ნუსხით მისი ყოველთვიური სარგო განისაზღვრა მინისტრის მაქსიმალური ზედა ზღვრის - 8 500 ლარის ოდენობით. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის შემთხვევაში, 2018 წლის საშტატო ნუსხით განსაზღვრული ყოველთვიური სარგო შეადგენს 8 900 ლარს, რაც აღემატება როგორც მისი ზემდგომი მინისტრის ფაქტიურად (6 250 ლარი) განსაზღვრულ სარგოს, ასევე კანონით დაწესებული ზედა ზღვრის (8 500) კოეფიციენტის მოთხოვნებს.

როგორც საშტატო ნუსხების ანალიზი აჩვენებს, ახალი კანონის მოქმედების პირობებშიც, კონკრეტული სსიპ-ების საქმიანობით მიღებული სახსრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სახელფასო პოლიტიკაზე. მაგალითად, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2018 წელს დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში კონკრეტულ პოზიციებზე განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოების მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია საკუთარი სახსრებით მიღებულ შემოსავალს. კერძოდ, 2018 წელს ცენტრი დირექტორის ყოველთვიური სარგო განისაზღვრა 7 500 ლარის ოდენობით, საიდანაც 4 500 ლარი იფარება საბიუჯეტო სახსრებით, ხოლო 3 000 ლარი საკუთარი სახსრებით.

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი ერთ თვეზე	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე	თანამდებობრივი სარგო თვეში			სულ თანამდებობ-რივი სარგო წელიწადში	სულ წლიური შრომის ანაზღაურება
					სულ	მ.შ საბიუჯეტო სახსრები	მ.შ საკუთარი სახსრები		
	სულ	143.0			426,600			5,119,200	5,255,000
1	დირექტორი	1	7.5	7,500	7,500	4,500	3,000	90,000	
2	დირექტორის მოადგილე	4	6.0	6,000	24,000	14,000	10,000	288,000	
3	დეპარტამენტის უფროსი	1	5.0	5,000	5,000	2,700	2,300	60,000	
4	სამსახურის უფროსი	5	4.4	4,400	22,000	13,700	8,300	264,000	
5	სამსახურის უფროსი	2	3.8	3,800	7,600	4,900	2,700	91,200	
6	სამსახურის უფროსი	2	3.3	3,300	6,600	3,400	3,200	79,200	

ამონარიდი 2018 წლის 18 იანვარს დამტკიცებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საშტატო ნუსხიდან

სამინისტროებს დაქვემდებარებული სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურება								
საჯარო დაწესებულება	ხელმძღვანელი				მოადგილე			
საჯარო დაწესებულება	2018	2017			2018	2017		
	სარგო	სულ შრომის ანაზღაურება	სარგო	პრემია/დანამატი	სარგო	სულ შრომის ანაზღაურება	სარგო	პრემია/დანამატი
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	**8 900**	**9 358,3**	6 850	2 508,3	**5 600**	**5 779,8**	3 750	2 029,8
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	**8 500**	**8 890**	4 300	4 590	**7 000**	**7 590**	4 000	3 590
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	**7 500**	**11 361,6**	4 500	6 861,6	**6 000**	**7 710,5**	3 700	4 010,5
ქონების ეროვნული სააგენტო	**7 300**	**7 253,3**	2 720	4 533,3	**5 300**	**5 416,7**	2 500	2 916,7
სსიპ აწარმოე საქართველოში	**7 000**	**7 872,5**	3 500	4 372,5	**6 000**	**5 390,3**	3 000	2390,3
განათლების საერთაშორისო ცენტრი	**7 000**	**7 417**	5 000	2417	**-**	**-**	-	-
სამედიცინო რეგულირების სააგენტო	**5 000**	**4 867**	2 600	2267	**4 400**	**4 333**	2 300	2 033
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	**2 750**	**5 637,5**	2 750	2 887,5	**2 300**	**4 991**	2 300	2 691
სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	**2 700**	**2 891,6**	2 600	291,6	**2 200**	**2 500**	2 300	200

ცალკეული შემთხვევების გარდა, შრომის ანაზღაურების ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული სხვა სსიპ-ების ხელმძღვანელი პირების შემთხვევაშიც, რომლებსაც 2018 წლის საშტატო ნუსხით ყოველთვიურ სარგოდ განესაზღვრათ დაახლოებით იმავე ოდენობის თანამდებობრივი სარგო, რასაც ისინი წინა წლებში იღებდნენ სარგოს, პრემიის და დანამატის სახით ერთად. მაგალითად, 2017 წელს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს უფროსის ყოველთვიური სარგო შეადგენდა 2 950 ლარს, ხოლო დანამატი/პრემია 4 083 ლარს (ჯამში შრომის ანაზღაურება 7 033 ლარი). 2018 წლის საშტატო ნუსხით მისი სარგო განისაზღვრა 7 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირის შრომის ანაზღაურება								
საჯარო დაწესებულებ	ხელმძღვანელი				მოადგილე			
	2018	2017			2018	2017		
	სარგო	სულ შრომის ანაზღაურება	სარგო	პრემია/დანამატი	სარგო	სულ შრომის ანაზღაურება	სარგო	პრემია/დანამატი
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	7 500	10 635	5 000	5 635	7 250	10 510	4 000	6 510
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო	7 000	7 033	2950	4 083	6 500	7 750	2750	5 000
საქპატენტი	6 500	6 250	5 000	1 250	6 000	6 028	4 200	1 828
საჯარო სამსახურის ბიურო	6 200	5 251	2 950	2 301	4 400	3 780	2 250	1 530
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	5 900	5 900	2 950	2 950	5 300	5 300	2650	2650
კონკურენციის სააგენტო	5 900	5 900	2 950	2 950	4 850	5 000	2 400	2 600
ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	4 500	4 354	2 900	1454	3 600	3 025	2 700	325

საჯარო სექტორში სახელფასო სისტემის სრულფასოვანი მოწესრიგების მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მოქმედების ისეთ დაწესებულებებზე გავრცელების შეზღუდვა, სადაც დასაქმებული კონკრეტული თანამდებობის პირები ბოლო წლების განმავლობაში გამოირჩევიან ყველაზე მაღალი ანაზღაურებით. მაგალითად, კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ უწყებებზე, როგორიცაა მარეგულირებელი კომისიები და სახელმწიფო კომპანიები. მაგალითად, IDFI-ის მიერ შესწავლილი თანამდებობის პირთა დეკლარირებული შემოსავლების მიხედვით, 2017 წელს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თითოეული წევრის დეკლარირებული შრომის ანაზღაურება დაახლოებით 190 ათას ლარს აღწევს.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მაღალი ანაზღაურება ფიქსირდება სხვადასხვა სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით. მაგალითად, სს - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება 2017 წელს იყო 273 370 ლარი, ხოლო სს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის 336 000 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი სახელმწიფო კომპანიების სახელფასო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შემოიფარგლება მხოლოდ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ დეკლარაციებში განთავსებული მონაცემებით.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში საშტატო ნუსხების გასაჯაროება პრობლემა აღმოჩნდა ასევე მარეგულირებელი კომისიების შემთხვევაშიც. მაგალითად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

IDFI-ის განუმარტა, რომ საშტატო ნუსხა შეიცავდა პირად მონაცემებს და მოკლებულნი იყვნენ მისი გასაჯაროების შესაძლებლობას.

16) 2017 წელს მოქმედი საშტატო ნუსხის წარმოდგენა, თანამდებობრივი სარგოების მითითებით, შეიცავს პირად მონაცემებს, რომლის გასაჯაროების უფლებაც კომისიას, დასაქმებულის თანხმობის გარეშე, არ გააჩნია, ხოლო ასეთი თანხმობა ვერ იქნა მოპოვებული; 17) დღეის მდგომარეობით მოქმედი საშტატო ნუსხის წარმოდგენა, თანამდებობრივი სარგოების (კოეფიციენტების) მითითებით, შეიცავს პირად მონაცემებს, რომლის გასაჯაროების უფლებაც კომისიას, დასაქმებულის თანხმობის გარეშე, არ გააჩნია, ხოლო ასეთი თანხმობა ვერ იქნა მოპოვებული;
კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი, 2017 -2018 წლებში მოქმედი საშტატო ნუსხების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე

დასკვნა

კვლევაში წარმოდგენილი თანამდებობის პირების სახელფასო პოლიტიკის ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ 2018 წლიდან ამოქმედებულმა საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონმა საჯარო სექტორში სრულფასოვნად ვერ ჩამოაყალიბა დაბალანსებული და გამჭვირვალე შრომის ანაზღაურების სისტემა.

ახალი კანონის პირობებშიც, თანამდებობის პირების უმეტესობას თანამდებობის სარგოს სახით შეუნარჩუნდა იმ ოდენობის შრომის ანაზღაურება, რაც წლების განმავლობაში გაიცემოდა ქაოტური სახელფასო პოლიტიკის პირობებში.

ამასთან, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს კანონის მოქმედების მიღმა იმ უწყებების დარჩენა, რომელთა გამჭვირვალობის არსებული ხარისხი და ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან ადეკვატური სახელფასო პოლიტიკის არსებობა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან კითხვებს აჩენდა.